ერთობლივი მოქმედება ერთმანეთის გასაძლიერებლად

სინერგია

ორშაბათი, 3 ოქტომბერი, 2011

რეზონანსის ყოველთვიური დამატება

№9

დევნილები მალთაყვაში: არსებობა შედებილი კორპუსების მიღმა

მანანა დარჯანია, მარი ოთარაშვილი
სპეციალურად „სინერგიისთვის“ ფოთიდან

32 კორპუსში დევნილები ცხოვრობენ. აქ, მალთაყვაში, დასაქმების პერსპექტივა, უბრალოდ, არ არსებობს.

ჯერჯერობით, არც რაიმე სავაჭრო პუნქტი მუშაობს. ბაზარი 5-6 კილომეტრშია. მგზავრობა ბაზრამდე და უკან 4 ლარამდე ჯდება. სკოლა მოშორებითაა. დევნილთა უმეტესობა წვრილშვილიანია, მალთაყვაში კი საბავშვო ბაღი არ არის.

„თუკი დასაქმების პრობლემა დროულად არ მოგვარდება, შესაძლოა, აქ ფრანგული ფილმის - „მე-13 რაიონის“ მსგავსი სცენარი განვითარდეს“, - გვითხრა იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალი დასახლების ერთ-ერთმა ახალგაზრდა ბინადარმა. რა თქმა უნდა, შედარება ერთობ გაზვიადებულია: პოპულარულ ფრანგულ ბოევიკს, რომელიც კრიმინალურ გარეუბანსა და დედაქალაქს შორის აღმართულ კედელსა და იქ მიმდინარე მოვლენებზე მოგვითხრობს, არაფერი აქვს საერთო ფოთის ამ საკურორტო ზოლში მდებარე დევნილთა ახალ, ვარდისფერსალათისფრად შეღებილ შენობებთან და მათ მოკრძალებულ მცხოვრებლებთან. მალათაყვა საქართველოში შექმნილ დევნილთა ახალ დასახლებათაგან მნიშვნელოვნად გამოირჩევა, რაზეც არაერთხელ ითქვა და დაიწერა პრესაში.

დასახლებაში, სადაც დაახლოებით 1200-მა ოჯახმა უნდა იცხოვროს, ხალხმრავლობა ჯერ არ იგრძნობა. დევნილებზე განაწილებული ბინების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკეტილია. ხოლო ვინც აქ იმყოფება, ადაპტაციის პერიოდს გადის. ადაპტაცია გაცილებით მეტია, ვიდრე დასახლების ტერიტორიის შემოვლა და ნაცნობ-მეგობრების ბინების მონახულება: გარემოსთან შეგუების აუცილებელი პირობა დასაქმებაა. სწორედ ამ პრობლემაზე საუბრით დაიწყო ჩვენი შეხვედრები დევნილებთან. „მე-13 რაიონის“ ისტორია დევნილებს, ალბათ, სწორედ ჩვენ მიერ დასმულმა შეკითხვამ გაახსენა:

- რამდენად სარწმუნოა ხმები, რომ დასახლებაში უკვე პრობლემებია კრიმინოგენული ვითარების თვალსაზრისით?

პასუხები ასეთი იყო:

„ეს ეტაპი გამოვლილი გვაქვს დევნილობის პირველ წლებში: თუკი სადმე რამე ფუჭდებოდა და ნადგურდებოდა, ყველაფერს დევნილებს აბრალებდნენ“.

„ერთხელ წყლის უკვე დამონტაჟებული მრიცხველები მოიპარეს. ჯერ ეჭვი დევნილების მიმართ გამოითქვა, მერე კი, როგორც აღმოჩნდა, თავად ამ ტერიტორიაზე მომუშავე მუშებს წაუღიათ - ხელფასს არ უხდიდნენ და იმიტომ. ხალხი სამუშაოდ სოფლებიდანაა ჩამოსული და ხელფასების გაცემის იმედად მოსულები, შინ გაწბილებულები ბრუნდებიან. გუშინ რომ მოსულიყავით, ნახავდით მუშების აქციას - ხელფასის გაუცემლობას აპროტესტებდნენ. ულტიმატუმიც წამოაყენეს: თუკი ამ დღეებში ხელფასს არ გადაგვიხდიან, სამანქანო გზას გადავკეტავთო.“

„32 კორპუსში ბინები დაახლოებით 1200 ოჯახზეა გადანაწილებული. უმრავლესობა აქ ჯერ არ ცხოვრობს, თორემ ხომ წარმოგიდგენიათ, ამდენი უმუშევარი ხალხის ნახვა როგორი დამთრგუნველი იქნება?“

ხელისუფლება ფოთში დევნილთა განსახლების ერთ-ერთ პრიორიტეტად მათი დასაქმების რეალურ პერსპექტივას ხედავდა, მაგრამ დასაქმების კონკრეტული გეგმები: ახალი, ბაზრის მოთხოვნასთან შესატყვისი სპეციალობების შესწავლა და პროფესიული გადამზადება ჯერჯერობით არავისთვის შეუთავაზებიათ. „თვითდასაქმების ერთადერთი საშუალება დევნილებისთვის მრავალჯერ ნაცადი გზა - დასახლების ტერიტორიაზე პურითა თუ სიგარეტით საცალო ვაჭრობაა - ისიც, უმეტესად, ნისიად, - ამბობს ზუგდიდის „გრენქარხნიდან“ აქ ჩასახლებული თინა ჭითანავა. „მუნიციპალიტეტში პასუხისმგებელ პირს ვუთხარი, ჯიხურს დავდგამ და ცოტა ლუკმა-პურს ვიშოვი-მეთქი. უარი გვითხრეს. ჩვენ თვითონ დაგასაქმებთო“.

„არანაირი დასაქმება ჩვენთვის არ იქნება! სანამ ეს კორპუსები აშენდებოდა, ვიღაცებს აქ უკვე არჩეული ჰქონდათ ადგილი, სადაც სუპერმარკეტს გახსნიან. ჩვენ ვინ გვამუშავებს?! დასაქმედება ის, ვისაც ფული აქვს. ჩვენ კი დამლაგებლად ან დარაჯად გაგვიშვებენ. ყველგან გვეკითხებიან, - მუშაობდით თუ არა სადმეო. თუ არ მამუშავე სადმე, სტაჟს როგორ მთხოვ?! ან სტაჟს გთხოვენ, ან - საერთოდ ვერ იღებ პასუხს. ისინი აქ მხოლოდ თავიანთ ხალხს დაასაქმებენ. ფულს ფულიანი აკეთებს. აქ დევნილს ვინ ააღორძინებს?!“ - ამბობს ჩვენთან საუბრისას მალთაყვის დასახლებაში მცხოვრები დევნილი მამაკაცი.

ტერიტორიაზე კიდევ ერთი დევნილი ქალბატონი გამოჩნდა, წყალტუბოდან ჩასახლებული ხათუნა რურუა. სახლიდან დილით ადრე გადის - ფოთში მუშაობს. „ეს სამუშაო ჩემით ვიპოვე. რესტორანში მზარეული ვარ. შინ ღამის 4 საათზე ვბრუნდები. 5 ლარი მრჩება. აქ თავად თუ არ სცადე რამე, მშიერი მოკვდები. ორი მცირეწლოვანი შვილიშვილი მყავს. ეყოფათ დღეში 5 ლარი?! 2 ოთახი გვაქვს, მაგრამ მხოლოდ ერთ ოთახში ვცხოვრობთ, რადგან დენის 60 ლარს ვერ გადავიხდიდი“.

რურუა ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, რომ წყალტუბოში დარჩენა მისთვის გაცილებით ხელსაყრელი იყო, რადგან 19 წლის განმავლობაში იქაურობას შეეჩვია.

„საჭმელი თუ არ მქონდა, შემეძლო, ნისიად ამეღო და მერე გადამეხადა, რადგან იქ ყველას ვიცნობდი. აქ ვის რა ვთხოვო? არავის ვიცნობ“, - აჩქარებული გვესაუბრება ქ-ნი ხათუნა: სამსახურში არ უნდა დააგვიანოს.

დევნილი მამაკაცი კი, რომელიც აქ ზუგდიდიდან გადმოვიდა, გვეუბნება, რომ მას არ სჯერა, თითქოს ხელისუფლება მათთვის სამუშაო ადგილებს შექმნის. ის ერთადერთ გამოსავალს იმაში ხედავს, რომ ეს ბინები დევნილებს დროულად გადაეცეთ საკუთრებაში. ბინების ბანკში ჩადების გარანტიით კი იაფ კრედიტს გამოიტანენ და საკუთარ სამეწარმეო საქმიანობას განავითარებენ. სხვა გზა არ არსებობს.

მაგრამ ვინაიდან მიღებული ბინების კერძო საკუთრებაში გადაცემის ვადები ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, დევნილებს შორის ათასი ვერსია ჩნდება. ერთ-ერთი ჩვენც მოვისმინეთ: „ბინებს იმიტომ არ გვიკანონებენ, რომ აქაც დროებით ჩაგვასახლეს. გარკვეული პერიოდის შემდეგ აქ სამხედროები იცხოვრებენ“. ალბათ, დროა, რომ ხელისუფლებამ ახალი დასახლების დევნილებს ბინების საკუთრებაში გადაცემის ვადები დაუკონკრეტოს.

რაც შეეხება ბინების გადანაწილების კრიტერიუმების დაცვას, დევნილებში აზრთა სხვადასხვაობაა: ის, ვინც კმაყოფილია, მიიჩნევს, რომ სამართლიანად განაწილდა, უკმაყოფილონი - პირიქით. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა გაურკვეველია, რა პრინციპით

„ქ. ფოთში იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი უბანი“ - ასე წერია აბრაზე, რომლითაც ხელისუფლება დევნილებს დანარჩენი საზოგადოებისგან მიჯნავს

მოხდა საცხოვრებელი ფართის განაწილება.

მათ შორის არის წყალტუბოს კოლექტიური ცენტრიდან გადმოსული ბოჩია წულაიას ოჯახი. ოჯახი ოთხი სულისაგან შედგება: ხანდაზმულები - ბ-ნი ბოჩია და მისი მეუღლე; მათი შვილები - 30 წლის ვაჟი და 31 წლის ქალიშვილი. მათ ორი ოთახი გადაეცათ. ოჯახი მიიჩნევს (და სამართლიანადაც), რომ მათთვის დამატებით, სულ მცირე, კიდევ ერთ-ოთახიანი ბინა მაინც უნდა გადაეცათ: „წყალტუბოში ცხოვრების პირობებთან შედარებით ფოთის პირობებზე მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, მაგრამ ფართით დაკმაყოფილების მხრივ, ძალზე დაგვჩაგრეს. არის შემთხვევები, როდესაც ორსულიან ოჯახს ორი ოთახი გამოუყვეს. ჩვენ, ოთხსულიანი ოჯახიც, იგივე ფართით დაგვაკმაყოფილეს. სად არის სამართლიანობა?“

ჟუჟუნა ქორიძე: „წყალტუბოდან ფოთში გადმოსვლის სურვილით, პირველი განცხადება მე დავწერე, მაგრამ რა გამოვიდა? მე და ჩემი 45 წლის ვაჟი - ისევე, როგორც წყალტუბოში, ერთოთახიან ბინაში გამოგვამწყვდიეს“.

ეს ადამიანები თავიანთ გასაჭირზე დევნილთა დასახლებაში, ლტოლვილთა და განსახლების რეგიონული სამმართველოების წარმომადგენელთაგან შექმნილი კომიტეტის გამოკეტილი კარების წინ გვესაუბრებოდნენ. შემოგვჩივლეს, - ჩვენი პრეტენზიების მოსმენა აქ არავის სურსო. ფოთის დევნილთა ახალ ჩასახლებაში გაზი გამოძახების შემდეგ მოეწოდებათ. ერთი ბალონის დატენვა 3 ლარი და 50 თეთრი ღირს. დენზე კი, როგორც თავად დევნილები ამბობენ, არანაირი შეღავათი არ აქვთ. უფრო მეტიც, წინასწარ გადაახდევინეს 30 ლარი. ზოგმა ამ თანხის გადახდა ვერ შეძლო.

„ზამთარში რა უნდა ვქნათ, არ ვიცით. იმედი გვაქვს, გაზს გამოიყვანენ“, - სასოწარკვეთილი ხმით ამბობს დევნილი ქალბატონი. ათასგვარი საყოფაცხოვრებო პრობლემებაა მოსაგვარებელი. დევნილებმა კი არ იციან, ვის მიმართონ. აქ მყოფ ხელისუფლების წარმომადგენლებს, ძირითადად, რეგიონებიდან ჩამოყვანილი დევნილებისთვის ლოტოტრონის პრინციპით ბინების განაწილება ევალებათ. ისინი უკვე აქ მცხოვრებ დევნილებს მთელ რიგ ყოფით პრობლემებზე პასუხს ვერ სცემენ.

დასახლების ტერიტორიაზე ოფიციალური პირი - ვალერი ბაბუნაშვილი გამოჩნდა. მან ჩვენთან საუბარი არ ისურვა: „არ ვარ უფლებამოსილი, თქვენს შეკითხვებზე გიპასუხოთ. მოვა უფროსი და გიპასუხებთ. გაზის პერსპექტივა, რა თქმა უნდა, იქნება, რადგან მოსახლეობა აქ ცხოვრობს. აქაურ ვითარებასთან დაკავშირებით საქმის კურსშია ყველა - ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები, დანიის ლტოლვილთა საბჭო... შეიძლება, ვიღაც განაწყენებულია და ამიტომაც ქვენა გრძნობები ამოძრავებს“, - განგვიცხადა ბაბუნაშვილმა და გვითხრა: შტაბში პასუხისმგებელ პირს დაელოდეთო. რა თქმა უნდა, მის მოსვლას ტყუილად დაველოდეთ.

დასასრული
მე-2 გვერდზე

„4-5 ოქტომბერს დევნილთა გამოსახლება იგეგმება გურამიშვილის 64-დან და პირველი კლინიკური (არამიანცის) საავადმყოფოდან“, - ამის შესახებ სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის დევნილთა ომბუდსმენმა - მაია ხარაძემ „სინერგიის“ კორესპონდენტს - მარი ოთარაშვილს აცნობა. ხარაძის ინფორმაციით, დევნილთა გამოსახლებას კიდევ 300 ობიექტიდან ელოდებიან.



დევნილები მალთაყვაში: არსებობა შელებილი კორპუსების მიღმა

გაგრძელება

ჩვენი იქ ყოფნის დროს ადმინისტრაციის დაკეტილ ოფისს „ბმვ“-ს მარკის ავტომობილით შუახნის მამაკაცმა მოაკითხა. როგორც მასთან საუბრისას შევიტყვეთ, ისიც ამ დასახლებაში ცხოვრებას აპირებს. აფხაზეთიდან დევნილი, პროფესიით მშენებელი - ჯემალ შერვაშიძე აღმოჩნდა. წლებია, თბილისში ცხოვრობს. ფოთში უცხოელების დაკვეთით სამშენებლო ობიექტს ხელმძღვანელობდა, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მშენებლობა შეჩერდა. ამჟამად, როგორც დევნილი, ისიც ამ დასახლებაში დაკმაყოფილდა ბინით და თუკი ფოთში სამსახური კვლავ გამოუჩნდება, მუშაობასაც აქ გაგრძელებს.

გარკვევას ადგილობრივ ხელისუფლებას, კონკრეტულად კი დევნილთა და ლტოლვილთა განსახლების სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, გურიისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსს - დავით აფციაურს სთხოვენ.

მაგალითად: ოჩამჩირიდან დევნილი ნანული სირბილაძე 56 წლისაა. არის პირველი ჯგუფის ინვალიდი (მარჯვენა ხელის ამპუტაცია). იგი 1992 წლიდან რეგისტრირებულია და ცხოვრობს წყალტუბოში, დედასთან ერთად, მისამართზე: გურამიშვილის ქუჩა №2. კოლექტიური ცენტრი „აია“.

ქალბატონმა ნანულიმ ფოთში განსახლების მსურველთა შორის ერთ-ერთმა პირველმა დაწერა განცხადება, თუმცა განსახლების არც პირველ და „წყალტუბოს ქალები თავიანთი უფლებებისათვის“ ხელმძღვანელი ლალი გრიგოლავა და დასძენს, რომ დევნილები იმთავითვე მთელი სერიოზულობით მოეკიდნენ წყალტუბოდან ფოთში განსახლების არჩევანს. ბევრი მათგანი საკუთარი ინიციატივით, ზოგი კი ა/ო „აფხაზინტერკონტისა“ და ჩვენი ორგანიზაციის ინიციატივით ეწვია ფოთის ახალ დასახლებას. დაათვალიერეს გარემო, გაიაზრეს, თუ რამდენად სწორად ირჩევენ გრძელვადიან საცხოვრისს. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ზოგიერთი მათგანის გააზრებულ არჩევანს ჩინოვნიკების მიერ მათზე ჩატარებული აბსურდული „მოკვლევა“ გადაეღობა. მაგალითად, განსასახლებელთა სიაში არ მოხვდა მადონა კურდღელია მეუღლესთან ერთად და მისი მშობლები, რომლასთვის ცნობილია, რომ ეს ქალბატონი 16 წელია, დაქორწინებულია და შვილი არ შესძენია. ის არ უარყოფს, რომ მიმოსვლა აქვს ნათესავებთან, მაგრამ არა კრასნოდარში, არამედ აფხაზეთში. ნუთუ ეს დანაშაულია? ქალბატონი ასევე უარყოფს, რომ შემოთავაზება იყო წყალტუბოში საცხოვრებლით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. მითუმეტეს გაუგებარია სამმართველოს არგუმენტაცია: თუკი ჩამოთვლილი მიზეზების გამო ოჯახს უარს ეუბნებიან ფოთში ბინით დაკმაყოფილებაზე, წყალტუბოში ცხოვრებას შესთავაზებდნენ?

მსგავსი მოტივით არ დაკმაყოფილდა მაყვალა ბესელიას განცხადება ფოთში საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. ამის მი-

ვესაუბრებოდით სამუშაოს პერსპექტივით დაიმედებულ, სხვებთან შედარებით წელში გამართულ დევნილს და ვფიქრობდით: ვინ იცის, იქნებ დასაქმების რეალური პერსპექტივის იმედი, ადრე თუ გვიან, სხვებსაც გაუჩნდეთ და დასახლების ამ ახალ უბანს, რომელიც ხელისუფლებამ მალთაყვის სხვა მოსახლეობისგან დისკრიმინაციული შინაარსის შემცველი სპეციალური აბრით („ქ. ფოთში იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი უბანი“) გამიჯნა, განვითარების პერსპექტივა მაინც ექნება.

ფოთში განსახლებისთვის მებრძოლი წყალტუბოელი დევნილები

როგორც ჩანს, დევნილთა გარკვეული ნაწილი მაინც მიიჩნევს, რომ ფოთს განვითარების პერსპექტივა აქვს და ამიტომაც ისინი, ვინც წყალტუბოდან ფოთში განსახლების პირველ თუ მეორე ეტაპში ვერ მოხვდა, მიზეზის არც მეორე ეტაპზე მისი განცხადება არ დაკმაყოფილდა. ამის შემდეგ, მან, ასეთი პრობლემის მქონე 14 დევნილთან ერთად, განცხადებით მიმართა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, გურიისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსს - დავით აფციაურს, რათა წერილობით მიეღო პასუხი, თუ რა კრიტერიუმებით მოხდა ოჯახების შერჩევა და რატომ არ დაკმაყოფილდა მისი განაცხადი ფოთში საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით (განცხადება №334. 9.09. 2011ნ). ამ განცხადებაზე ხელმომწერი სულ 15 ოჯახიდან ფოთში საცხოვრებელი ფართით შვიდი ოჯახი დაკმაყოფილდა. რვა ოჯახი კი, მათ შორის - ნანული სირბილაძე უშედეგოდ ელოდება სამმართველოსგან წერილობით პასუხს.

„წყალტუბოს სხვადასხვა კოლექტიური ცენტრიდან ამ ტიპის არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, - ამბობს არასამთავრობო ორგანიზაცია მელთაც არაერთი წერილით მიმართეს სამმართველოს კითხვით, თუ რატომ არ დაკმაყოფილდნენ ისინი ფოთში საცხოვრებელი ბინით. ამ ოჯახის პრობლემით დაინტერესებულმა ჟურნალისტმაც მიმართა სამმართველოს უფროს დავით აფციაურს, რომელიც პრესსამსახურთან გადაამისამართეს. პრესსამსახურმა კი გამაოგნებელი წერილობითი პასუხი გასცა: ფოთში ბინით დაკმაყოფილებაზე უარის მიზეზი აფხაზეთთან, კერძოდ, გუდაუთასთან კავშირი ყოფილა. ასევე, მადონა კურდღელიას კრასნოდარის მხარეში ხშირი მიმოსვლა ჰქონია და ჰყოლია შვილი, რომელსაც თურმე სკოლა საქართველოში არ დაუმთავრებია. თუმცა, პრესსამსახურის პასუხში აღნიშნულია ისიც, რომ თურმე ამ ოჯახისთვის იმავე ტიპის ბინა წყალტუბოში უკვე შეუთავაზებიათ.

ლალი გრიგოლავა: „სად და ვის მიერ იქნა მოძიებული პრესსამსახურიდან გაცემული პასუხი, გაურკვეველია; თანაც, ეს არის მტკნარი სიცრუე, რადგან დევნილთა ჩასახლებაში ყველაზეზად დავით აფციაურმა მას უკრაინასთან კავშირი დაუსახელა (ქალბატონი დევნილის სტატუსით ცხოვრობდა უკრაინაში, მაგრამ ამჟამად წყალტუბოში ცხოვრობს). როგორც თავად მაყვალა ბესელია ამბობს, დავით აფციაურმა ასეთი პასუხით გამოისტუმრა: „თუ უკრაინაში იყავით, ისევ უკან მიბრძანდით, იქნებ იქ ვინმეს შეეცოდოთ და რამე მოგცენ“.

„თავად დავით აფციაური საინფორმაციო საშუალებებში არაერთხელ გახმაურებულ ამ ფაქტებთან დაკავშირებით დუმს და ჟურნალისტებთან შეხვედრას გაურბის, - აღნიშნავს ლალი გრიგოლავა და დასძენს: ცოტა არ იყოს, ჩემთვის გაუგებარია არასამთავრობო ორგანიზაციების დუმილი ამ დისკრიმინაციულ ფაქტებთან დაკავშირებით - როდესაც საკუთარ მოქალაქეს გეოგრაფიულ სივრცეში გადაადგილების მიხედვით უწესებ, ეკუთვნის თუ არა მას საცხოვრისი“. იქნებ, დავით აფციაურმა იძულებით გადაადგილებულ პირთა გაზეთ „სინერგიას“ გასცეს პასუხი ამ პრობლემურ კითხვაზე.

გია ვოლსკი: „თავიდანვე ვფიქრობდი, რომ ანქვაბი ბანერების გარეშეც გაიმარჯვებდა“

მარი ოთარაშვილი

„ანქვაბის გამარჯვება უკვე მიმანიშნებელია იმისა, რომ ის დაიცავს აფხაზების ინტერესებს“, - ამბობს ჩვენთან საუბრისას გეოპოლიტიკური კვლევების ცენტრის მრჩეველი პოლიტიკურ საკითხებში; ორგანიზაცია „თავისუფალი აზრის სახლის“ მთავარი საბჭოს გენერალური მდივანი - გია ვოლსკი.

ექსპერტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სოხუმსა და თბილისს შორის ურთიერთობა საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური კურსის გამო ვერ დათბება და ამ ეტაპზე აფხაზებთან მხოლოდ საზოგადოებრივი დონის ურთიერთობებია შესაძლებელი.

- როგორი იყო თქვენი მოლოდინი აფხაზეთში არჩევნების ჩატარების წინა პერიოდში? თქვენი აზრით, რომელი კანდიდატისკენ იხრებოდა უპირატესობის ნიშნული და რატომ?

- თავიდანვე ვფიქრობდი, რომ ანქვაბი ის ადამიანია, რომლის წინასაარჩევნო პროგრამა ზუსტად პასუხობდა იმ პრობლემებსა და გამოწვევებს, რომლებიც დღეს აფხაზეთში არსებობს. პრობლემაა კრიმინალური ვითარება, კლანური ურთიერთობები, რაც იქ წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა. გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ ანქვაბი უფრო ახლოს არის აფხაზურ სინამდვილესთან, შამბას კი ეს მხარე უფრო ნაკლებად გამოარჩევს.

„რუსეთმა 45 ათასი აფხაზის წინაშე არა შიშით, არამედ აბსოლუტურად რაციონალურ-პრაგმატული გათვლით იმოქმედა“

რამდენადაც ვიცი, სატელევიზიო დებატებისას ანქვაბის მიერ გამოხატული პოზიცია მეტწილად ეხებოდა წესრიგის დამყარებას სამთავრობო სტრუქტურებში. მიუხედავად იმისა, რომ მთელ აფხაზეთში შამბას ბანერები იყო გამოფენილი, ანქვაბს კი არც ერთი ჰქონია, მაინც ვფიქრობდი, ანქვაბი ბანერების გარეშეც გაიმარჯვებდა.

არჩევნებში მესამე ადგილზე ხაჯიმბას გასვლა კი, ალბათ, ყველასთვის მოსალოდნელი იყო.

- რატომ? ხაჯიმბა ხომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას პირველად იღებდა?

- არა იმიტომ, რომ ხაჯიმბას აფხაზეთში ღირებული არაფერი გაუკეთებია, არამედ იმიტომ, რომ მისი პოზიცია გაბნეულია მოსკოვსა და აფხაზეთში არსებულ საეჭვო ავტორიტეტის მქონე ჯგუფს შორის. ანქვაბი და შამბა კი სერიოზული, წონიანი კანდიდატები იყვნენ.

შამბამ იცის საერთაშორისო სივრცეში ურთიერთობის ენა. თუკი ის თავისი პოლიტიკური კარიერის გაგრძელებას გადაწყვეტს, აფხაზებისთვის კარგი ვარიანტი იქნებოდა ასეთი ტანდემი: საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში - შამბა; რეალური მართვის სადავეები კი - ანქვაბის ხელში. ამას აფხაზების პოზიციის გათვალისწინებით ვამბობ.

- ფიქრობთ, რომ ძირითადად, მძიმე კრიმინალური ფონის არსებობამ ითამაშა გადამწყვეტი როლი ანქვაბის გამარჯვებაში? როგორც ამბობენ, ეს არჩევანი ნიშნავს არა მხოლოდ მკაცრი ხელის არჩევას, რომელიც აფხაზეთში წესრიგის დამყარების იმედს უკავშირდება, არამედ იზოლაციასაც. თქვენ რას იტყვით ამასთან დაკავშირებით? როგორ ახსნით აფხაზი ხალხის გადაწყვეტილებას და რა პერსპექტივაზე შეგიძლიათ ისაუბროთ ანქვაბის აფხაზეთში?

- როგორც არჩევნებამდე, ასევე, არჩევნების შემდეგ, აფხაზებთან ვურთიერთობდი. როგორც ისინი ამბობენ, აფხაზეთში მთავარი პრობლემა წესრიგის დამყარებაა. აღვნიშნავ, რომ ამომრჩეველმა ქართველებმა მხარი ანქვაბს სწორედ ამიტომ დაუჭირეს. აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზებსაც და ქართველებსაც აწუხებთ კლანურ-კრიმინალური ატმოსფერო. წესრიგის დასამყარებლად კი ანქვაბი უფრო ოპტიმალურ კანდიდატურად მიიჩნიეს, ვიდრე საერთაშორისო ენაზე კარგად მოსაუბრე შამბა. ეს იყო ძირითადი ნიშანი, რამაც ანქვაბს გამარჯვება მოუტანა. არის კიდევ ერთი მთავარი ფაქტორი - რუსეთი. რუსეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ანქვაბი უფრო დამოუკიდებლად მოაზროვნე აფხაზის იმიჯის მატარებელია, ვიდრე მოსკოვი-სოხუმის გზაზე ხშირად მოძრავი შამბა.

- ანქვაბი კრემლისგან დამოუკიდებელია?

- როგორც აფხაზები განმარტავენ, ანქვაბს ასეთი იმიჯი აქვს. თუმცა მაშინ, როცა 45 000 აფხაზის წარმომადგენელზე ვსაუბრობთ, აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე საუბარს ძალიან სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.

- თუმცა არჩევნებისას მოხდა ისე, რომ აფხაზეთში ამომრჩევლის ხმები დაცული იყო. ამჯერად კრემლმა პოზიციები დათმო და გზა გაუხსნა აფხაზურ არჩევანს. თქვენი აზრით, რატომ მოიქცა ასე მოსკოვი?

- ვფიქრობ, რომ ეს სწორედ კრემლის ინტერესებში იყო და ამ შემთხვევაში უფრო გონივრულადაც მოიქცა, ვიდრე 2004 წლის არჩევნებისას. კრემლმა დემოკრატიულობის ნიღაბი მოირგო. მსოფლიოს თვალში მისთვის ეს უფრო იქნებოდა პოლიტიკურად მომგებიანი სვლა, ვიდრე არჩევნებში ჩარევა და ხელის შეშლა. ასე რომ, რუსეთმა 45 ათასი აფხაზის წინაშე არა შიშით, არამედ აბსოლუტურად რაციონალურ-პრაგმატული გათვლით იმოქმედა. ამით მას მსოფლიოსთვის უნდა დაენახებინა, რომ მედვედევის რუსეთს შეუძლია, იყოს დემოკრატიული.

თუმცა რუსეთმა მაინც თქვა, რომ პოლიტიკურ-ეკონომიკური რესურსი, რომელიც აფხაზეთს, პრაქტიკულად, არ გააჩნია, რუსეთისთვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენს და აფხაზეთში თავის ინტერესებს მომავალშიც გაატარებს.

გია ვოლსკი: „აფხაზებისთვის კარგი ვარიანტი იქნებოდა ასეთი ტანდემი: საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში - შამბა; რეალური მართვის სადავეები კი - ანქვაბის ხელში. ამას აფხაზების პოზიციის გათვალისწინებით ვამბობ“.

როგორც ვიცი, აფხაზური მხარე არც ისე კმაყოფილია რუსეთის ოთხი გაძლიერებული სამხედრო ბაზით, რომელიც დღეს აფხაზეთის ტერიტორიაზეა.

- ახლა აფხაზეთში სტრუქტურულ ცვლილებებზე საუბრობენ. რა იცით ამის შესახებ?

- ანქვაბი არა მარტო ვიცე-პრემიერის პოსტის გაუქმებას, არამედ მინისტრთა საბჭოსა და პრეზიდენტის პოსტის გაერთიანებას აპირებს. ანქვაბი იმასაც ამბობს, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტიც უნდა გააუქმოს.

- და რისთვის შეიძლება სჭირდებოდეს ასეთი ცვლილება?

- ანქვაბი მიიჩნევს, რომ ახლა გადამწყვეტი მომენტია აფხაზეთისთვის. მას მმართველი აპარატის შემცირება უნდა. ის ფიქრობს, რომ მთელი ძალაუფლების კონცენტრაცია თავის ხელში უნდა მოხდეს. სხვადასხვა ინფორმაციით, ასეთ მიდგომას აფხაზური საზოგადოება მხარს უჭერს. მათი აზრით, ძალაუფლების მაქსიმალური კონცენტრირებით ანქვაბი სახელმწიფოებრივ წესრიგს დაამყარებს.

„წესრიგის დასამყარებლად ანქვაბი უფრო ოპტიმალურ კანდიდატურად მიიჩნიეს, ვიდრე საერთაშორისო ენაზე კარგად მოსაუბრე შამბა. ეს იყო ძირითადი ნიშანი, რამაც ანქვაბს გამარჯვება მოუტანა“.

- ანქვაბმა უკვე განაცხადა, რომ აფხაზეთში მიწა არ გაიყიდება. ის, როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისით, აგრძელებს ბალაფშის კურსს, რომელიც აფხაზი ხალხის პოზიციას ეფუძნებოდა. თქვენი აზრით, ამ კონტექსტში, საბოლოოდ, როგორ შეიძლება განვითარდეს ურთიერთობა აფხაზ ხალხსა და რუსეთს შორის?

- აფხაზები არავითარ შემთხვევაში არ აპირებენ იმ სოფლის დათმობასაც კი, რომელიც რუსეთთან საზღვარზე მდებარეობს. გარდა ამისა, აფხაზეთში საკუთრების თემაც პრობლემატურია. ჩემი ინფორმაციით, რუსების არგუმენტი ასეთია: რამდენადაც თქვენი (აფხაზების) უმრავლესობა რუსეთის მოქალაქეა, უფლება გაქვთ, შეიძინოთ საკუთრება რუსეთის მთელ ტერიტორიაზე. და რატომ არ უნდა ჰქონდეს იგივე უფლება რუსეთის მოქალაქეებს?

მაგრამ ეს არის ძალიან დემაგოგიური არგუმენტი - მით უმეტეს, რომ აფხაზებს სერიოზული დემოგრაფიული პრობლემები ელოდებათ. რა მოხდება ამასთან დაკავშირებით აფხაზეთსა და რუსეთს შორის, წინასწარი პროგნოზის გაკეთება, რა თქმა უნდა, ძნელია.

საქმე შეიძლება ისე წავიდეს, რომ აფხაზეთისთვის ყველაზე ახლო მოკავშირე ქართველი ეთნოსი გამოდგეს. სწორედ ანქვაბმა უნდა იფიქროს და დაგეგმოს, როგორმე ქართველებს დაუახლოვდეს.

- ფიქრობთ, რომ თბილისთან სოხუმის ურთიერთობა დათბება?

- არა, ეს ამას არ ნიშნავს. თბილისს თავისი ნაბიჯები აქვს გადასადგმელი, მაგრამ სამწუხაროდ, მისი რიტორიკა კვლავ აგრესიულია. აფხაზეთში ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით, სულ მცირე, ის მაინც უნდა განეცხადებინა, რომ ხაზს უსვამს ამ არჩევნების არალეგიტიმურობას, მაგრამ პატივს სცემს აფხაზი ხალხის არჩევანს.

ახლა პოლიტიკურ დონეზე თბილისი-სოხუმის ურთიერთობის ნორმალიზების პერსპექტივას ვერ ვხედავ. პირველ ეტაპზე, უნდა ვიფიქროთ აფხაზი და ქართველი სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის დაახლოებაზე, აფხაზეთში სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განხორციელებაზე - თუნდაც ჯანდაცვის სფეროში... სწორედ ჯანდაცვაა ერთადერთი სფერო, რომელიც ამ მხრივ კონკრეტული ნაბიჯებით გამოირჩევა. ასე რომ, საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტი საზოგადოებრივი ურთიერთობების გაღრმავება უნდა იყოს და არა მუდმივად შეზღუდვების დაწესება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ დევნილთა კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის შესახებ კვლევის ანგარიში წარმოადგინა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ დევნილთა კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის შესახებ ახალი ანგარიში წარმოადგინა.

კვლევა მიზნად ისახავდა დასავლეთ საქართველოში 2009 წლის იანვრიდან 2011 წლის იანვრამდე „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ მიერ რეაბილიტირებული ძველი კოლექტიური ცენტრების სარემონტო სამუშაოების ხარისხის შეფასებას და რეაბილიტაციის შესახებ დევნილთა ზოგადი მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების ანალიზს.

„მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ დასავლეთ საქართველოში დევნილთა სახლების სარეაბილიტაციო პროექტების დაახლოებით 80 პროცენტი განახორციელა.

ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ დირექტორის - ქეთევან ხუციშვილის თქმით, კვლევამ აღმოაჩინა სადრენაჟო სისტემის, წყალგაყვანილობის, წყალმომარაგებისა და ნაგვის გატანის პრობლემები.

მიუხედავად გამოვლენილი დეფექტებისა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით ირკვევა, რომ გამოკითხულ დევნილთა უმრავლესობა ზოგად კმაყოფილებას გამოთქვამს მათი ბინების რეაბილიტაციით. დევნილები აღნიშნავენ, რომ ბინები დღეს უკეთ გამოიყურება, ვიდრე ისინი რეაბილიტაციამდე იყო.

კვლევა პროექტ „დახმარების ეფექტურობის ხელშეწყობის“ ფარგლებში განხორციელდა, რომელიც ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ დაფინანსებით ჩატარდა. კვლევამ 1990-იან წლებში იძულებით გადაადგილებულ პირთა კოლექტიური ცენტრები მოიცვა.

„მედიანიუსი“

ნონა ქურდოვანიძე: „იურიდიული დახმარებისთვის, ძირითადად, გამოსახლებული დევნილები მოგვმართავენ“



„სასტუმრო „აფხაზეთიდან“ გამოსახლებისას იყო შემთხვევები, როდესაც დევნილებს არც კომპენსაცია ჰქონდათ მიღებული და მათთვის არც ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი შეუთავაზებიათ“

მარი ოთარაშვილი

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი ნონა ქურდოვანიძე, რომელიც დევნილთა საკითხებზე მუშაობს, ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს: „მიმდინარე წლის განმავლობაში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ დევნილთა მიმართ 5 676 იურიდიული ინდივიდუალური კონსულტაცია გაიცა თბილისში, გორში, ქუთაისში. განვახორციელეთ 165 იურიდიული მობილური ვიზიტი დევნილთა ჩასახლებებში - თბილისსა და რეგიონებში; მოვამზადეთ 483 იურიდიული დოკუმენტი სხვადასხვა საკითხზე; ავიღეთ დევნილთა სხვადასხვა პრობლემასთან დაკავშირებული 40 საადვოკატო საქმე“.

- რა ცვლილებაა გასული წლის სტატისტიკურ მონაცემებთან შედარებით? მიმდინარე წელს ყველაზე მეტად რა მიმართულებით დაირღვა დევნილთა უფლებები და, ყველაზე მეტად, რაზე ჩივიან ისინი?

- მონაცემთა რაოდენობა, წინა წლებთან შედარებით, მატულობს. შესაძლოა, ამაზე გავლენა იმანაც მოახდინა, რომ დევნილთა გამოსახლებების პრობლემა აქტუალურია. იურიდიული დახმარებისთვის, ძირითადად, სწორედ, გამოსახლებული დევნილები მოგვმართავენ. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა დევნილებს არ აქვთ აღებული საკომპენსაციო თანხა; ამისთვის კი მათ სამართლებრივი დოკუმენტის მომზადდება და, შემდეგ, ზოგიერთ შემთხვევაში, სამთავრობო დონეზე გასაჩივრებაც სჭირდებათ.

ზოგიერთი დევნილი მოგვმართავდა დევნილის სტატუსის მინიჭებისთვის განცხადების ან შემდგომ სარჩელის მოსამზადებლად; მოგვმართავდნენ კომპენსაციის საკითხთან დაკავშირებითაც.

რაც შეეხება გამოსახლების პრობლემას: დევნილები, ყველაზე მეტად, სწორედ ამის გამო ჩივიან. ბოლო პერიოდში მათი გამოსახლება მოხდა კომპაქტური ჩასახლებებიდან: სასტუმროებიდან „აფხაზეთი“ და „ვაკე“. სასტუმრო „ვაკის“ მესაკუთრემ შენობაში მცხოვრებ დევნილთა მხოლოდ ნაწილთან გააფორმა ხელშეკრულება. თავისთავად, იმ თანხით კი, რომელსაც ინვესტორი სთავაზობდა დევნილებს, ალტერნატიული ფართის შეძენა წამოუდგენელი იყო.

კანონის თანახმად, თუკი დევნილი რეგისტრირებულია კომპაქტურ ჩასახლებაში და იქ საცხოვრებელი ფართი აქვს, მისი გამოსახლება არ უნდა მოხდეს წერილობითი ხელშეკრულების, ან ალტერნატიული ფართის შეთავაზების გარეშე. სასტუმრო „აფხაზეთიდან“ გამოსახლებისას იყო შემთხვევები, როდესაც დევნილებს არც კომპენსაცია ჰქონდათ მიღებული და მათთვის არც ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი შეუთავაზებიათ.

- ასეთ შემთხვევაში, როგორ უნდა მოიქცეს დევნილი?

- მან უნდა მიმართოს სასამართლოს და ამ გზით მოითხოვოს კუთვნილი ალტერნატიული ფართი, ან ფულადი კომპენსაცია. ამისთვის კი სარჩელი უნდა მომზადდეს. დევნილებს ჩვენ უფასო იურიდიულ დახმარებას ვთავაზობთ. თუკი დევნილი საჭირო დოკუმენტებით აღჭურვს, რომ მისი უფლებები დაირღვა, ვეხმარებით სარჩელის მომზადებაში და შემდეგ სასამართლოში ვუწევთ საადვოკატო მომსახურებას.

- სარჩელის მომზადებისთვის დევნილმა რა საჭირო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს?

- დევნილის სტატუსის მოთხოვნის შემთხვევაში, საჭიროა დამადასტურებელი დოკუმენტი, ნამდვილად იყო თუ არა რეგისტრირებული იმ საცხოვრებელ მისამართზე, სადაც დაბრუნება მისთვის შეუძლებელია; კომპენსაციის შემთხვევაში, საჭიროა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც კონკრეტული დევნილის ოჯახი წარმოადგენდა ცალკე ოჯახს... საჭიროა სხვადასხვა ტიპის დოკუმენტაციის წარმოდგენა - საქმის არსიდან გამომდინარე.

- ძირითადად, რა პრობლემა იჩენს თავს დევნილის სარჩელის მომზადებასთან დაკავშირებით?

- არის შემთხვევა, როდესაც სასამართლო დავის განხილვისთვის საჭიროა ბაჟის გადახდა, რაც დევნილმა თავად უნდა უზრუნველყოს. პრობლემა ასეთ შემთხვევაში ჩნდება. გადასახადისგან კი დევნილი თავისუფლდება სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში; როცა დავა სოციალური ხასიათისაა.

- ბაჟის გადახდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პროგრამა არ არის?

- ვისაც სარჩელი შეაქვს, ის ფარავს ბაჟს.

- ეს, საშუალოდ, რა ოდენობის თანხაა?

- ბაჟის ოდენობა დავის ხასიათზეა დამოკიდებული. თუ, მაგალითად, დავა თანხას ეხება, მაშინ დევნილმა, ბაჟის სახით, მოთხოვნილი თანხის 3% უნდა გადაიხადოს.

- იხდის თუ არა ბაჟს დევნილი იმ შემთხვევაში, თუკი ის გამოსახლების გამო ჩივის?

- თუ, მაგალითად, დევნილი ედავება კომპანიას, რომელმაც არ გადაუხადა თანხა, მაშინ ის ვალდებულია, ბაჟი გადაიხადოს. მაგრამ თუკი დევნილი სოციალურად დაუცველთა ბაზაშია რეგისტრირებული, ბაჟი ეხსნება ყველა სახის დავაზე; ასევე, თავისუფლდება გადასახადისგან, თუკი მას შეზღუდული შესაძლებლობის მქონის სტატუსი აქვს.

- ამ დროისათვის რამდენი საქმეა სასამართლოში, რომლებიც დევნილთა უფლებების დაცვას უკავშირდება?

- მიმდინარე წლის განმავლობაში 40 სასამართლო საქმე გვაქვს აღებული. ძირითადად, საკითხი ეხება როგორც დევნილისათვის სტატუსის მინიჭებას, ასევე კომპენსაციით დაკმაყოფილებას. ანუ, გამოსახლებულთა ნაწილმა, რომელმაც ვერ მიიღო 10 000 ამერიკული დოლარის ოდენობის კომპენსაცია, მოგვმართა დახმარების თხოვნით. ჩვენ მათ მოვუმზადეთ განცხადებები და შემდეგ - საჩივარი.

ასევე, არის ასეთი საკითხებიც, როცა დევნილები უკმაყოფილებას გამოთქვამენ საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით. სასამართლოში ამასთან დაკავშირებითაც გვაქვს საქმე. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იყო საქმე სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, რომელიც ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს ეხებოდა. კანონის თანახმად, მას შეეძლო, მიეღო დევნილის სტატუსი. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმე იყო, რომელიც სასამართლო დავის საგანი გახდა.

- რამდენად არის სავარაუდო, რომ ეს სასამართლო დავები დევნილთა სასარგებლოდ დასრულდება?

- ვფიქრობთ, რომ ყველა საქმე, რომელსაც ჩვენ ვიღებთ, აკმაყოფილებს ყველა საჭირო სტანდარტს. შესაბამისად, ვვარაუდობთ, რომ წარმატების პერსპექტივა აქვს და ველოდებით იმ შედეგის მიღწევას, რომლისთვისაც ესა თუ ის საჩივარი შედგა. დევნილებს აქვთ უფლება, თავიანთი დარღვეული უფლებების აღსადგენად სასამართლოს მიმართონ. ზოგიერთი დევნილის სასამართლო დავა დასრულდა, ზოგიერთის კი ჯერ კიდევ წარმოებაშია.

- უკვე დასრულებული საქმეების შესახებ რა შეგიძლიათ, გვითხრათ?

- გვქონდა საქმე, მაგალითად, დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, რომელიც სასამართლოში წარმატებით დასრულდა; გვქონდა საქმე დევნილისთვის პენსიის შეწყვეტის თაობაზე, რაც პენსიის აღდგენით დასრულდა. არის ისეთი სარჩელებიც, რომელთაც სასამართლო არ აკმაყოფილებს.

- როგორ უნდა მიიღოს დევნილმა დევნილის სტატუსი?

- ამ სტატუსის მოსაპოვებლად დევნილმა განცხადებით უნდა მიმართოს დევნილთა სამინისტროს. მაგრამ ის ვერ მიიღებს სტატუსს, თუკი კანონით გათვალისწინებულ პირობებს არ აკმაყოფილებს: კანონის თანახმად, ის უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელიც იძულებული გახდა, დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში გადაადგილებულიყო. გადაადგილების მიზეზი კი უნდა გამხდარიყო, მაგალითად, საომარი მოვლენები, შიდა კონფლიქტი.

- რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დევნილის სტატუსის მინიჭების პროცედურა რთულია. რა არის ამის მიზეზი?

- ხშირად, სამინისტრო ერთთვიან ვადაში (რაც კანონის მიხედვით სტატუსის მინიჭებას სჭირდება) არანაირ რეაგირებას არ ახდენს შემოსულ განცხადებაზე. ამ საფუძველზე მზადდება სპეციალურ განცხადება და შემდეგ - საჩივარი, ანუ სასამართლოს მიმართვა. რამდენადაც სამინისტრო ამ ვადას ყოველთვის არღვევს, ამიტომაც საქმე სასამართლომდე მიდის.

- რა შემთხვევაში უნდა გაიცეს დევნილებზე კომპენსაცია?

- მთავრობის განკარგულების მიხედვით, 10 000 დოლარიანი კომპენსაცია ეკუთვნის მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ იძულებით გადაადგილებულ პირებს, და ისიც - იმ შემთხვევაში, თუკი დევნილმა უარი თქვა სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ საცხოვრებელ ფართზე - კოტეჯზე. ეს კომპენსაცია დევნილების ნაწილმა მიიღო, თუმცა დარჩენილია ჯგუფი ოჯახებისა, რომლებმაც იგი ვერ მიიღეს.

- რა მიზეზით ვერ მიიღეს მათ ეს კომპენსაცია?

- სამინისტროს არგუმენტი მხოლოდ ის არის, რომ შვილები და მშობლები, სინამდვილეში, ერთად ცხოვრობენ. ამიტომაც მათ მხოლოდ ერთი ოჯახის კუთვნილ კომპენსაციას სთავაზობენ. თუმცა, ასეთი ოჯახები სხვადასხვა ცნობით ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ ომამდე უკვე ცალკე ოჯახად იყვნენ რეგისტრირებულები.

- გამოსახლებისას, რა შემთხვევაში უხდის დევნილს კომპენსაციას სახელმწიფო და რა შემთხვევაში - ინვესტორი?

- სასტუმროების - „აფხაზეთისა“ და „ვაკის“ შემთხვევაში, იყო შეთანხმება დევნილებსა და ინვესტორს შორის. შესაბამისად, თანხას მესაკუთრე იხდიდა. ანუ, ეს ის შემთხვევაა, როცა კომპაქტურ ჩასახლებას მესაკუთრე ჰყავს.

- თუკი კომპაქტური ჩასახლების ობიექტი (ბაგა-ბაღის, ან სკოლის შენობა) სახელმწიფოს საკუთრებაა, დევნილს კომპენსაცია სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს?

- ბაგა-ბაღებს არა კომპაქტური ჩასახლებების, არამედ დროებითი თავშესაფრების სტატუსი აქვს. ამაზე კანონში განსხვავებული მიდგომაა: თუკი დევნილს საცხოვრებელი ფართი თვითნებურად აქვს დაკავებული, კანონი გამოსახლებისას მისი დაცვის გარანტიას არ იძლევა.

- როგორც ჩანს, კანონის მიხედვით, დროებით თავშესაფარში მცხოვრები დევნილები ნაკლებად არიან დაცულები. როგორ უნდა მოიქცნენ ისინი? როგორ დაიცვან თავიანთი უფლებები?

- კანონში მითითებულია, რომ ყველა დევნილზე სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს. სამოქმედო გეგმაც ამაზეა აგებული: დევნილი სახელმწიფოს მიერ თავშესაფრით უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

conciliation resources
an international service for conflict transformation

გაზეთი „სინერგია“ გამოდის ევროკომისიისა და ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია „შერიგების რესურსების“ (CR) მხარდაჭერით. პროექტი: „კონფლიქტურ რეგიონებში ხელისუფლებების ანგარიშვალდებულების გაზრდა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ამაღლების გზით“.

„სინერგიაში“ გამოქვეყნებულ მასალებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, ყოველთვის არ გამოხატავდეს ქსელის საერთო პოზიციას. ქსელი იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უზენაეს ღირებულებას.